

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გ.დ. ალკო

31 დეკემბერი 2023



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	11
2 შედგენის საფუძველი	12
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	12
2.2 მომზადების საფუძველი	12
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება	12
2.5 ახალი და შესწორებული სტანდარდების გამოყენება	12
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	13
3.1 უცხოური ვალუტა	13
3.2 ძირითადი საშუალებები	14
3.3 არამატერიალური აქტივები	15
3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	15
3.5 იჯარა	15
3.6 მარაგები	16
3.7 ფინანსური ინსტრუმენტები	17
3.8 გრძელვადიანი ინვესტიციები	19
3.9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	19
3.10 კაპიტალი	19
3.11 ანარიცხები	20
3.12 წინასწარი გადახდები მომწოდებლებთან	20
3.13 გადასახადები	20
3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	21
3.15 შემოსავალი	21
4 გრძელვადიანი ინვესტიციები	22
5 აქტივების გამოყენების უფლება	22
6 მარაგები	23
7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
8 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	25
9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	26

10	საწესდებო კაპიტალი	26
11	იჯარა	26
12	მიღებული სესხები	28
13	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
14	შემოსავალი	28
15	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	28
16	სადისტრიბუციო ხარჯები	29
17	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	29
18	ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	29
19	შემდგომი მოვლენები	29
20	მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები	30
20.1	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები	30
20.2	სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები	30
20.3	ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით	31
21	ფინანსური ინსტრუმენტები	31
21.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	31
21.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	31
22	ფინანსური რისკის მართვა	32
23	სამართლიანი ღირებულება	34
24	კაპიტალის რისკის მართვა	34
25	გაუთვალისწინებელი გარემოებები	35
25.1	გადასახადები	35
25.2	სამართლებრივი პროცესები	35
26	დაკავშირებული მხარეები	35
26.1	საკონტროლო ურთიერთობები	35
26.2	ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან	35
26.3	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
	მმართველობის ანგარიშგება	37



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს „გ.დ.ალკო“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გ.დ.ალკო“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა

მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდებუდა ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს გრანტ თორნტონის სახელით


ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის # - SARAS-A-774309))

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2024



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ინვესტიციები	4	9,217	9,262
აქტივის გამოყენების უფლება	5	348	361
ძირითადი საშუალებები		708	769
არამატერიალური აქტივები		71	84
		10,344	10,476
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	22,427	17,367
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	27,725	23,129
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8	847	717
გაცემული სესხები		-	887
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9	14,572	13,162
		65,571	55,262
სულ აქტივები		75,915	65,738
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი		19,144	18,509
გადაფასების რეზერვი		468	512
აკუმულირებული მოგება		33,424	23,091
	10	53,036	42,112
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	11	277	87
		277	87
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	12	18,217	19,812
საიჯარო ვალდებულებები	11	68	324
გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების			
გადასახადისა		1,906	1,568
გადასახდელი მოგების გადასახადი		541	129
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,870	1,706
		22,602	23,539
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		75,915	65,738

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 24 სექტემბერი 2024:

დავით ალავიძე

გიორგი დევიძე

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ინვესტიციები	4	9,217	9,262
აქტივის გამოყენების უფლება	5	348	361
ძირითადი საშუალებები		708	769
არამატერიალური აქტივები		71	84
		10,344	10,476
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	22,427	17,367
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	27,725	23,129
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8	847	717
გაცემული სესხები		-	887
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9	14,572	13,162
		65,571	55,262
სულ აქტივები		75,915	65,738
პაზიტალი და ვალდებულებები			
პაზიტალი და რეზერვები			
საწესდებო პაზიტალი		19,144	18,509
გადაფასების რეზერვი		468	512
აკუმულირებული მოგება		33,424	23,091
	10	53,036	42,112
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	11	277	87
		277	87
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	12	18,217	19,812
საიჯარო ვალდებულებები	11	68	324
გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების			
გადასახადისა		1,906	1,568
გადასახდელი მოგების გადასახადი		541	129
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,870	1,706
		22,602	23,539
სულ პაზიტალი და ვალდებულებები		75,915	65,738

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 24 სექტემბერი 2024:

დავით ალაიძე

დირექტორი

ბ. ლიპიძე

გიორგი დევიძე

ფინანსური დირექტორი

ქ. ლიპიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი	14	100,163	89,811
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(62,197)	(55,894)
მთლიანი მოგება		37,966	33,917
სადისტრიბუციო ხარჯები	16	(10,590)	(6,455)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(9,304)	(5,255)
სხვა ხარჯები		(840)	(281)
სხვა შემოსავლები		217	198
ფინანსური ხარჯები	18	(828)	(1,831)
ფინანსური შემოსავლები	18	791	1,000
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(10)	(1,707)
მოგება დაბეგვრამდე		17,402	19,586
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,850)	(546)
წლის მოგება		15,552	19,040
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება		15,552	19,040

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება)	სულ
2022 წლის 1 იანვარი	18,309	556	4,007	22,872
წლის მოგება	-	-	19,040	19,040
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის მთლიანი სხვა სრული შემოსავალი	-	-	19,040	19,040
გადაფასების რეზერვის შემცირება	-	(44)	44	-
გადაფასებული აქტივების ცვეთის გამო	200	-	-	200
ოპერაციები მფლობელებთან	200	(44)	44	200
2022 წლის 31 დეკემბერი	18,509	512	23,091	42,112
წლის მოგება	-	-	15,552	15,552
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
წლის მთლიანი სხვა სრული შემოსავალი	-	-	15,552	15,552
გადაფასების რეზერვის შემცირება	-	(44)	44	-
გადაფასებული აქტივების ცვეთის გამო	-	(44)	44	-
გაცემული დივიდენდები	-	-	(5,263)	(5,263)
კაპიტალში შენატანი	635	-	-	635
ოპერაციები მფლობელებთან	635	(44)	(5,219)	(4,628)
2023 წლის 31 დეკემბერი	19,144	468	33,424	53,036

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წლის მოგება		15,552	19,040
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		1,850	546
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	16,17	341	351
გაუფასურების ზარალიდებიტორულ დავალიანებაზე	7	4,077	1,087
გაუფასურების ზარალი გადახდილ ავანსებზე, წმინდა	8	-	(82)
ზარალი მარაგების ჩამოწერის შედეგად (მოგება)/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან, წმინდა		76	25
ფინანსური ხარჯები	18	(10)	1,707
ფინანსური შემოსავლები	18	828	1,831
		(791)	(1,000)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		21,923	23,505
ცვლილება მარაგებში		(5,136)	(10,779)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(8,665)	(5,447)
ცვლილება მომწოდებლისთვის გადახდილ ავანსებში		(130)	838
ცვლილება გადასახდელ გადასახადებში, გარდა მოგების გადასახადისა		338	1,338
		(10)	
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		168	1,284
ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები		8,488	10,739
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,438)	(680)
გადახდილი პროცენტი	11,12	(793)	(1,856)
მიღებული პროცენტი		883	927
ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		7,140	9,130
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(41)	(251)
სესხის გაცემა		(14,751)	(23,489)
შემოსულობა გაცემული სესხებიდან		15,547	25,643
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		755	1,903
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან სესხების აღება	12	122,654	138,380
სესხების დაფარვა	12	(124,284)	(140,245)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	11	(269)	(292)
კაპიტალში შენატანები	10	635	200
		(5,263)	-
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		(6,527)	(1,957)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება) სავალუტო კურსის გავლენა ფულად სახსრებზე		1,368	9,076
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		42	(196)
ფულადი სახსრები პერიოდის დასასრულს		13,162	4,282
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	9	14,572	13,162

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს გ.დ. ალკო("კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2004 წლის 8 დეკემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 205047091. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია თბილისი, საქართველო, გიორგი მდივანის ქ. 3 ა.

კომპანიის საქმიანობა შემოიფარგლება სხვადასხვა მომწოდებლების ალკოჰოლური პროდუქციის ფართო სპექტრის საბითუმო დისტრიბუციით. 2017 წელს კომპანიამ გაასხვისა დისტრიბუციის საცალო ქსელი და დაიწყო მხოლოდ საბითუმო სადისტრიბუციო ბიზნესი.

კომპანია საწყობებს სხვადასხვა რეგიონში, სუპერმარკეტებისა და მცირე სასურსათო მაღაზიების, ისევე როგორც დიდი ჰიპერმარკეტების მოსამარაგებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2023 წლის და 2022 წლის მდგომარეობით, აქციონერების სტრუქტურა შემდეგნაირია:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს მანდალორ ლიმიტედ, HE406857, ვიპროსი	57%	57%
შპს ალფორდიო სევისეზ , HE356249, კვიპროსი	18%	18%
შპს არევაკო ინვესტმენტ ლიმიტედ, HE356394, კვიპროსი	12%	12%
სიმონ ესართია, 01025003319	5%	5%
ლევან ლანდია, 01005000874	5%	5%
დავით ალავიძე, 01023009775	3%	3%
	100%	100%

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 265 და შესაბამისად 186 თანამშრომელს.

საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებაისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით წარმოადგენს მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო კონფლიქტი, რომელიც სწრაფად განვითარდა და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელ მსოფლიოზე. შეერთებულმა შტატებმა და ევროპის ქვეყნებმა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესეს. დასავლეთის ქვეყნები არსებული სანქციების გაფართოებას განიხილავენ. სანქციების გატარების მყისიერი გლობალური შედეგები იყო მაღალი ინფლაცია, დაბალი ზრდა და ფინანსური ბაზრების გარკვეული შეფერხება.

უკრაინის კონფლიქტმა გამოიწვია ათასობით რუსისა და უკრაინელის საქართველოში გადმოსახლება. ეს მოიცავდა არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, არამედ ბიზნესებსაც, რომლებიც დაარსებული იყო და ფუნქციონირებდა ამ ქვეყნებში. აღნიშნულის შედეგად გაიზარდა უცხოური ვალუტის შემოღინება ქართულ ბაზარზე, რამაც გამოიწვია ქართული ლარის მნიშვნელოვანი გამყარება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

რუსეთის არასამართლიანმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ზოგადად რეგიონში ბიზნეს გარემოზე და ასევე კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

კომპანიის ხელმძღვანელობა აღარ ელის ლარის შემდგომ გამყარებას აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით. თუმცა, უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტმა შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო მეტი უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყანაში, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ეს ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ზემოთ აღნიშნულის პოტენციურ მომავალ გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

2 შედეგის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით და გარდა ზოგიერთი ძირითადი საშუალების კლასისა, რომლებიც ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი („ბასს“) 16 „ძირითადი საშუალებების“ გადაფასების მოდელის შესაბამისად. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულების შეფასების დეტალები მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში (გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა), ვინაიდან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა ამ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 21-ე შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოცემული იყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („IFRIC“) მიერ, რომლებიც შესაბამისობაშია მის ოპერაციებთან და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ამ ცვლილებების ბუნება და ეფექტი მოცემულია ქვემოთ

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 1 იანვრიდან ან შემდეგი პერიოდებისთვის

ახალ სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, ან ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- IFRS 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“
- ცვლილებები ფასს 17-ში სადაზღვევო ხელშეკრულებებში (შესწორებები ფასს 17-ში და ფასს 4-ში)
- გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად (ბასს 12-ში ცვლილებები)
- სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (შესწორებები ბასს 1-ში და IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2)
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ში ცვლილებები)
- საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - (ბასს 12-ში ცვლილებები)

არსებული სტანდარტები ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და აღრე არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ

ამ ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის, გარკვეული ახალი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ აღრეულ ეტაპზე.

მენეჯმენტი ითვალისწინებს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება იქნება მიღებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდისთვის, რომელიც იწყება განცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მის შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამდებარე სტანდარტებიდან და ცვლილებებიდან. ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებიდან
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ბასს 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბასს 1	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტით (ბასს 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბასს 1	ურთიერთგაცვლის ნაკლებობა (ბასს 21-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ფასს 17	ფინანსური შეთანხმებები მომწოდებლებთან (შესწორებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში)	1 იანვარი 2024
ბასს 16	საიჯარო ვალდებულებები (ცვლილებები ფასს 16-ში).	1 იანვარი 2024

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2023 წლის 31

დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8844 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

სატრანსპორტო საშუალებები, გამიზნული საქონლის მიწოდებისა და ადმინისტრაციული გამოყენებისთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული თანხებით, რომელიც წარმოადგენს გადაფასების დღისთვის საქონლის სამართლიან ღირებულებას, შემცირებულს შემდგომი აკუმულირებული ცვეთითა და გაუფასურების ზარალით. გადაფასება ტარდება საკმარისი რეგულარობით ისე, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმისაგან, რაც სამართლიანი ღირებულებების გამოყენებით განისაზღვრებოდა ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ნებისმიერი ქონების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალში მხოლოდ იმ ოდენობით, რომ მან მოახდინოს მანამდე მოგება-ზარალში აღიარებული გადაფასების კლება იმავე აქტივზე. ასეთ შემთხვევაში ზრდა შედის მოგება-ზარალში მანამდე ხარჯად აღიარებული კლების ოდენობით. ასეთი აქტივების გადაფასებაზე წარმოშობილი საბალანსო ღირებულების შემცირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში იმ მოცულობით, რომელიც აღემატება იმ ბალანსს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც იწახება გადაფასების რეზერვში ამ აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებული ერთეულებისათვის.

ნამეტი, რომელიც შედის კაპიტალში ძირითადი საშუალების ერთეულთან მიმართებაში, პირდაპირ გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე, როდესაც აქტივი გამოიყენება კომპანიის მიერ. ასეთ შემთხვევაში, დარიცხული ნამეტის ოდენობა არის სხვაობა გადაფასებული აქტივის საბალანსო ღირებულებაზე დაფუძნებულ ცვეთასა და აქტივის თავდაპირველ ღირებულებაზე დაფუძნებულ ცვეთას შორის. გადაფასების ნამეტიდან გაუნაწილებელ მოგებაზე გადატანა არ ხდება მოგება/ზარალის მეშვეობით. გადაფასებული ქონების შემდგომ გაყიდვის ან გასვლისას ქონების გადაფასების რეზერვში დარჩენილი გადაფასების ნამეტი პირდაპირ გადაიტანება დაგროვილ მოგებაში.

სხვა ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია გასაქირავებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის, ან ძირითადი საშუალებები, რომლის გამოყენების მიზანი ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. იჯარით აღებული შენობები შედის კომპანიის აქტივებში, თუ ისინი აკმაყოფილებს ფინანსური იჯარის აღიარების კრიტერიუმებს. ასეთი აქტივები იცვითება მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდზე ან იჯარის პერიოდზე, რომელიც უფრო მოკლე იქნება.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

ცვთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად.

სავარაუდო სასარგებლო მომსახურების პერიოდი, ნარჩენი ღირებულება და ცვთის მეთოდი განიხილება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რის შედეგადაც სადარიცხო დაშვებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობები	- 5%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 20%
სატრანსპორტო საშუალებები	- 14.3%
ოფისის აღჭურვილობა	- 20%

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 15%-იანი განაკვეთით.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება აქტივის გასვლისას ან, როდესაც აქტივის გამოყენების ან განკარგვის შედეგად მოსალოდნელი არ არის რაიმე მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და ყოველწლიურად შემოწმდება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, გადაიხდება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი თანხა არის უდიდესი წმინდა გასაყიდი ფასისა და გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ოდენობით, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი განიხილება, როგორც გადაფასების შემცირება.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 იჯარა

კომპანია ფლობს საწყობების იჯარებს საქართველოს მასშტაბით. იჯარების მოქმედების ვადა კონტრაქტის მიხედვით განსაზღვრულია ერთი წლით, თუმცა მოიცავს ავტომატური გაგრძელების უფლებას, იმ შემთხვევაში თუ არცერთი მხარე არ მოინდომებს იჯარის შეწყვეტას. კომპანია მოიხდევდა იჯარების მოკლე ვადისა, წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და იმ პირობის გათვალისწინებით რომ იჯარებს აქვს ავტომატური გაგრძელების უფლება, აფასებს მათ შესაძლო გამოყენების პერიოდს და აღიარებს იჯარებს გრძელვადიანად.

კომპანია, როგორც მოიჯარე

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივებს სარგებლობის უფლებით და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივით სარგებლობის უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია სარგებლობის უფლებით ფლობილი აქტივებისთვის იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ გამოიყენებენ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის დარიცხვით. შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

კომპანიამ აირჩია აღრიცხოს მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე იჯარა როგორც საოპერაციო იჯარა. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები ა

ღიარდება ხარჯად მოგება/ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკავებით, ისევე როგორც საიჯარო ვალდებულება წარდგენილია ცალკე.

3.6 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

საქონლის მომწოდებლები კომპანიას უზრუნველყოფენ ბონუსებით. მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსები, წინასწარ განსაზღვრულ გაყიდვებთან დაკავშირებული ხარისხობრივი ზომების დაკმაყოფილების გამო, პირდაპირ გამოიქვითება გაყიდვების ღირებულებიდან;

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმძღვანელო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელმძღვანელო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელმძღვანელო განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია 22.2 -ე შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივის სახელმძღვანელო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ობლიგაციები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "ფლობის" ან "ფლობის და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემტებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2).
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ხარვეზები, ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ნებისმიერ მომენტში დეფოლტის პოტენციალის გათვალისწინებით. გაანგარიშებისას, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ინდიკატორებს და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად რეზერვის მატრიცის გამოყენებით.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიური გაანგარიშების საფუძველზე, რადგან ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, რომლებიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 21.2-ში

სესხები

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიამ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ან ზღვრული სასესხო განაკვეთით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს: ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; გადახდებს. რომელიც წარმოიქმნება არჩევანის უფლებიდან რომლებიც გონივრულად განსაზღვრულია.

პირველადი შეფასების შემდგომ, ვალდებულება შემცირდება გადახდებით და გაიზრდება დარიცხული პროცენტებით. შემდგომ შეფასებებში ხდება გადაფასებებისა და მოდიფიკაციების, ან ფიქსირებულ გადახდებში მომხდარი არსებითი ცვლილებების ასახვა.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგადაფარვა და წმინდა თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთთანხმების კანონიერად აღსრულებადი უფლება და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს სუფთად ურთიერთგადაფარვა, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და პასუხისმგებლობა შესრულდეს ერთდროულად. შემოსავლის და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ მოხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის მოთხოვნილი ან ნებადართული ნებისმიერი საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, და ეს კონკრეტულად არ არის გაცხადებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში.

3.8 გრძელვადიანი ინვესტიციები

გრძელვადიანი ინვესტიციები მოიცავს კომპანიის მფლობელობაში არსებულ კორპორატიულ ობლიგაციებს. გრძელვადიანი ინვესტიციები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

3.9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.10 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებებში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია საკუთარ კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი არის აქციონერების მიერ შენატანი კომპანიაში.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგებას და ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, განიხილება როგორც შემდგომი მოვლენა და აისახება შესაბამისად.

რეზერვი, რომელიც აღიარებულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კაპიტალის განყოფილებაში მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების გადაფასების ნამეტს.

3.11 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გაღიწება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია, ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციალურ რისკებს.

3.12 წინასწარი გადახდები მომწოდებლებთან

წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება მათი ნომინალური ღირებულებით სავარაუდო უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით.

3.13 გადასახადები

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან ("მოგების გადასახადის ესტონური მოდელი") გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია წინა მოდელის მიხედვით გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახარო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

წინასწარ გადახდილი გადასახადები და გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება მათი ნომინალური ღირებულებით სავარაუდო უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით. საშემოსავლო გადასახადის გარდა გადასახდელი გადასახადები ნაჩვენებია მათი ნომინალური ღირებულებით. ანგარიშები შესაბამისად შედის სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში და სავაჭრო და სხვა გადასახდელ ვალდებულებებში.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება შემოსავლების სამსახურში ერთიან საგადასახადო ანგარიშზე. ანგარიშსწორება ხდება წმინდა საფუძველზე.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.15 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ფართო ასორტიმენტის ალკოჰოლური პროდუქციის რეალიზაციიდან. იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან

კომპანია აღიარებს შესასრულებელ ვალდებულებას ალკოჰოლური პროდუქციის გაყიდვისას დროის გარკვეულ მომენტში, რადგან აქვს მხოლოდ ერთი შესასრულებელი ვალდებულება.

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები და სხვა მსგავსი ანარიცხები. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც დაკმაყოფილდება შესასრულებელი ვალდებულება დაპირებული საქონლის მომხმარებელზე გადაცემით.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

4 გრძელვადიანი ინვესტიციები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გრძელვადიანი ინვესტიციები იყო შემდეგი:

ათას ლარში	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
კორპორატიული ობლიგაცია	USD	5.75%	ივნ-24	9,217	9,262

კომპანიამ შეიძინა ბირჟაზე რეგისტრირებული სს „თიბისი ბანკი“ საქართველოს მიერ გამოშვებული კორპორატიული ობლიგაცია.

კორპორატიული ობლიგაცია შესყიდულ იქნა 36 ათასი აშშ დოლარის ფასდაკლებით და ვადიანობის ბოლოს მიღებული ნომინალური თანხა იქნება 3,456 ათასი აშშ დოლარი. კორპორატიული ობლიგაციები კომპანიის მიერ აისახება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია შეაგროვოს მათი ის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითად თანხაზე პროცენტის გადახდას წარმოადგენენ. შესაბამისად, კორპორატიული ობლიგაციები კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით.

ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული და ექვემდებარება გადახდას Fitch Ratings-ის მიხედვით BB რეიტინგის (გრძელვადიანი რეიტინგი) მქონე ბანკის მიერ, შესაბამისად ამ ნაშთისთვის ზარალის რეზერვი არ არის აღიარებული.

2023 წლის განმავლობაში გრძელვადიან ინვესტიციებს დაერიცხა საპროცენტო შემოსავალი 574 ათასი ლარი. (2022 წელი : 596 ათასი ლარი).

5 აქტივების გამოყენების უფლება

ათასი ლარი	საწყობები
თვითღირებულება	
2022 წლის 1 იანვარი	1,366
შემოსვლა	-
2022 წლის 31 დეკემბერი	1,366
შემოსვლა	-
მოდიფიკაცია	213
2023 წლის 31 დეკემბერი	1,579
დაგროვილი ცვეთა	
2022 წლის 1 იანვარი	739
წლის ცვეთა	266
2022 წლის 31 დეკემბერი	1,005
წლის ცვეთა	226
2023 წლის 31 დეკემბერი	1,231
საბალანსო ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბერი	361
2023 წლის 31 დეკემბერი	348

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

6 მარაგები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მარაგები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	21,265	16,522
სხვა	1,162	845
	22,427	17,367

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მარაგები საბალანსო ღირებულებით, 22,427 ათასი ლარი და შესაბამისად, 17,367 ათასი ლარი, დაგირავებულია სესხების უზრუნველსაყოფად. იხილეთ შენიშვნა 12.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	34,412	26,003
სხვა მოთხოვნები	1,940	1,676
	36,352	27,679
მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(8,627)	(4,550)
	27,725	23,129

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 27,725 ათასი ლარისა და 23,129 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების დებიტორული დავალიანება, კომპანიამ დააგირავა სესხების უზრუნველსაყოფად. (იხილეთ შენიშვნა 12).

სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანაზღაურებადობის განსაზღვრისას, დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხში ნებისმიერ ცვლილებას კომპანია განიხილავს კრედიტის თავდაპირველად გაცემიდან ანგარიშგების თარიღამდე.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია იმის გამო, რომ მომხმარებელთა ბაზა დიდი და არ არის ურთიერთდაკავშირებული.

ადიარებული გაუფასურება წარმოადგენს სხვაობას ამ სავაჭრო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ლიკვიდაციისაგან შემოსავლების დღევანდელ ღირებულებას შორის. ამ ნაშთებზე კომპანიას არ აქვს არანაირი უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კოლექტიური მიდგომა

კომპანია იყენებს რეზერვის მატრიცას კლიენტებისგან სავაჭრო მოთხოვნების ECL-ების გასაზომად, რომლებიც მოიცავს მცირე ნაშთების ძალიან დიდ რაოდენობას. ვადაგადაცილებული დღეების გათვალისწინებით ნაშთები ნაწილდება ვადაგადაცილებებზე 0-30 დღიდან 360 დღეზე მეტამდე.

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რისკისა და ECL-ების შესახებ ერთობლივად შეფასებული კლიენტების ნაშთების სავაჭრო მოთხოვნების შესახებ:

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებზე არსებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრა შემდეგნაირად:

ათასი ლარი	საშუალო- ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო დირეზულება	მინუს მოსალოდნელი ზარალი	წმინდა საბალანსო დირეზულება
0-30 დღემდე	6%	4,775	(278)	4,497
31-60 დღემდე	41%	488	(198)	290
61-90 დღემდე	33%	379	(125)	254
91-180 დღემდე	71%	847	(598)	249
180-365 დღემდე	100%	508	(508)	-
ერთ წელზე მეტი	100%	3,801	(3,801)	-
		10,798	(5,508)	5,290

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებზე არსებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრა შემდეგნაირად:

ათასი ლარი	საშუალო- ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო დირეზულება	მინუს მოსალოდნელი ზარალი	წმინდა საბალანსო დირეზულება
0-30 დღემდე	7%	4,726	(316)	4,410
31-60 დღემდე	42%	958	(399)	559
61-90 დღემდე	35%	744	(259)	485
91-180 დღემდე	55%	1,090	(597)	493
180-365 დღემდე	100%	10	(10)	-
ერთ წელზე მეტი	100%	314	(314)	-
		7,842	(1,895)	5,947

ინდივიდუალური მიდგომა

კომპანია იყენებს ფულადი სახსრების ნაკადების მოდელს ECL-ების შესაფასებლად სავაჭრო დებიტორული დავალიანების ცალკეული მნიშვნელოვანი ნაშთებისთვის.

კომპანია ანაწილებს თითოეულ შემოქმედებას საკრედიტო რისკზე დაფუძნებული ერთეულის ნაგულისხმევი სტატუსისა და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. მოდელზე არსებული ვარაუდები (შესაძლო სცენარების აღბათობა, თითოეული სცენარის რეალიზაციის დრო, ადგენის პოტენციური ოდენობა და ა.შ.) ეფუძნება ექსპერტთა მსჯელობას და კომპანიის ბიზნეს გაგებას.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია საკრედიტო რისკისა და ECL-ების შესახებ დებიტორული დავალიანების ცალკეული მნიშვნელოვანი ნაშთებისთვის:

2023 წლის 31 დეკემბერი ათასი ლარი	მთლიანი საბალანსო დირეზულება	გაუფასურების ზარალი რეზერვი	წმინდა საბალანსო დირეზულება
მიმდინარე (არა ვადაგადაცილებული)	-	-	-
ვადაგადაცილებული 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში	25,554	(3,119)	22,435
	25,554	(3,119)	22,435

2022 წლის 31 დეკემბერი ათასი ლარი	მთლიანი საბალანსო დირეზულება	გაუფასურების ზარალი რეზერვი	წმინდა საბალანსო დირეზულება
მიმდინარე (არა ვადაგადაცილებული)	-	-	-
ვადაგადაცილებული 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში	19,837	(2,655)	17,182
	19,837	(2,655)	17,182

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

კომპანია ყოველთვის ზომავს სავაჭრო მოთხოვნებზე არსებული ზარალის რეზერვს, რომელიც უტოლდება უკიდურესად ECL-ს. სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასებულია დებიტორული წარსული ნაკლოვანების გამოცდილებისა და დებიტორული მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზის გამოყენებით, მორგებული ფაქტორების მიხედვით, რომლებიც დამახასიათებელია დებიტორებისთვის, ინდუსტრიის ზოგადი ეკონომიკური პირობებისთვის, რომელშიც დებიტორები მუშაობენ და ანგარიშგების თარიღისთვის პირობების როგორც მიმდინარე, ასევე საპროგნოზო მიმართულების შეფასება.

კომპანიამ აღიარა 100 პროცენტის ზარალის რეზერვი 90 დღეზე მეტ ვადაგადაცილებულ ყველა დებიტორულ დავალიანებაზე, რადგან ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს დებიტორული დავალიანებები ზოგადად ვერ ამოიღება.

კომპანია ჩამოწერს დებიტორულ დავალიანებას, როდესაც არსებობს ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ მოვალეს აქვს მძიმე ფინანსური სირთულეები და ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს უკიდურესად მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ცვლილებას, რომელიც აღიარებულია სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის ფასს 9-ში დადგენილი გამარტივებული მიდგომის შესაბამისად.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი წლის დასაწყისში	4,550	3,463
გაუფასურების ზარალი დებიტორულ დავალიანებაზე	4,077	1,087
ნაშთი წლის ბოლოს	8,627	4,550

8 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გადახდილი ავანსები მომსახურებისთვის	833	779
სხვა გადახდილი ავანსები	118	42
	951	821
მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(104)	(104)
	847	717

დაუბრუნებადი თანხების მოძრაობა ანარიცხებში:

ათასი ლარი	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	104	186
გაუფასურების ზარალის აღიარება ავანსებზე	-	(82)
ნაშთი წლის ბოლოს	104	104

9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	4	9
საბანკო ანგარიშები	14,568	13,153
	14,572	13,162

ბანკებში არსებული არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. მოკლევადიანი ხასიათის გამო ბანკებში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვები არ არის აღიარებული. ბანკებში არსებული ნაშთები მოიცავს საქართველოს ბანკებში გახსნილ მიმდინარე ანგარიშებს და გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მიზნით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილი ბანკებში არის Fitch Ratings-ის მიერ შეფასებული ბანკებში, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი) (2022: B), B+ (გრძელვადიანი რეიტინგი) (2022: B+).

10 საწესდებო კაპიტალი

2023 წლისა და 2022 წლის განმავლობაში კომპანიის დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალში შენატანები არის შესაბამისად 635 ათასი ლარი და 200 ათასი ლარი, შესაბამისად. 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ავტორიზებული და გადახდილი კაპიტალი იყო 19,144 ათასი ლარი და 18,509 ათასი ლარი, შესაბამისად.

11 იჯარა

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის იჯარები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	68	324
გრძელვადიანი	277	87
	345	411

კომპანიას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იჯარით აქვს აღებული საწყობები, საოფისე ფართები და მიწა.

ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულება.

ცვალებადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახდელები დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ ექვემდებარება საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში ჩართვას.

ყოველი იჯარა, როგორც წესი, აწესებს შეზღუდვას, რომ, თუ არ არსებობს კომპანიის სახელშეკრულებო უფლება, ქვეიჯარით გადასცეს აქტივი სხვა მხარეს, აქტივის სარგებლობის უფლების გამოყენება შეუძლია მხოლოდ კომპანიას. იჯარა არის ან არაგაუქმებადი, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფასურის გადახდის შემთხვევაში. არც ერთი იჯარა არ შეიცავს შესყიდვის უფლებას იჯარის ვადის ბოლოს.

იჯარის ვადები შეიძლება გაგრძელდეს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის შეთანხმების საფუძველზე. კომპანიას ეკრძალება ძირითადი იჯარით აღებული აქტივების გაყიდვა ან დაგირავება უზრუნველსაყოფად.

შენიშვნების იჯარის შემთხვევაში კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს ქონება კარგ მდგომარეობაში.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ გაუფორმებია და არც შეუწყვეტავს საიჯარო ხელშეკრულება.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია კომპანიის საიჯარო საქმიანობის ხასიათი აქტივების გამოყენების უფლების ტიპის მიხედვით, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარის რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	იჯარის საშუალო დარჩენილი ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გახანგრძლივების უფლებით	იჯარების რაოდენობა ვადის შეწყვეტის უფლებით
საწყობები	4	4-48 თვე	43 თვე	4	4
შენობები	1	60 თვე	60 თვე	1	1
მიწა	1	60 თვე	60 თვე	1	1

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით.

მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ათასი ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
<i>ერთ წლამდე</i>		
საიჯარო გადახდები	107	351
ფინანსური ხარჯები	(39)	(27)
	68	324
<i>ორიდან ხუთ წლამდე</i>		
საიჯარო გადახდები	339	89
ფინანსური ხარჯები	(62)	(2)
	277	87
წმინდა მიმდინარე ღირებულება	345	411

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (იჯარისთვის, რომლის პერიოდი მოსალოდნელია 12 თვე, ან ნაკლები) და იჯარისთვის, რომელთან დაკავშირებულ აქტივსაც დაბალი ღირებულება აქვს. იჯარაზე გადახდილი თანხები აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვალებადი საიჯარო გადახდები არ არის ნებადართული რომ აღიარდეს როგორც საიჯარო ვალდებულება და გაწვევისთანავე აღიარდება ხარჯად.

გადასახდელბთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც არ შედის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, არის შემდეგი:

ათასი ლარი	2023	2022
მოკლევადიანი იჯარები	174	28
	174	28

ცვლილებები კომპანიის საიჯარო ვალდებულებებში 2023 და 2022 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2023	2022
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	411	703
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	34	59
იჯარის მოდიფიკაცია	203	-
იჯარის პროცენტის დაფარვა	(34)	(59)
იჯარის ძირის დაფარვა	(269)	(292)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	345	411

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

12 მიღებული სესხები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ვადები და პირობები იყო შემდეგნაირი:

ათასი ლარი	ვალუტა	ვადიანობა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი სესხები:				
სს თიბისი ბანკი	ლარი	ნოე-24	8,775	6,504
სს თიბისი ბანკი	ლარი	ნოე-24	5,007	10,472
არაუზრუნველყოფილი სესხები:				
დაკავშირებული მხარეები	ლარი	დეკ-24	4,435	2,836
			18,217	19,812

სს თიბისი ბანკის სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მარაგებით, ძირითადი საშუალებებითა და სავაჭრო მოთხოვნებით. საბანკო სესხების ვადიანობა არის ერთ წელი.

საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ყოველთვიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის სესხების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2023	2022
წმინდა ვალი პერიოდის დასაწყისში	19,812	21,702
ძირის დამატება	122,654	138,380
დარიცხული პროცენტი	794	1,772
გადახდილი ძირი	(124,284)	(140,245)
გადახდილი პროცენტი	(759)	(1,797)
წმინდა ვალი პერიოდის ბოლოს	18,217	19,812

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები მომსახურებისთვის	1,723	258
სახელფასო ვალდებულებები	147	1,413
სავაჭრო ვალდებულებები საქონლისთვის	-	35
	1,870	1,706

14 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2023 წლისა და 2022 წლის განმავლობაში მოიცავს ალკოჰოლური სასმელების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

2023 წლის დასრულებული წლისთვის მთლიანი შემოსავლების 40% გენერირებულია დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებით. (2022 წელი: მთლიანი შემოსავლის 42%).

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის გაყიდული საქონლის თვითღირებულება შედგებოდა ალკოჰოლური სასმელების თვითღირებულებისგან.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

16 სადისტრიბუციო ხარჯები

კომპანიის სადისტრიბუციო ხარჯები 2023 წლისა და 2022 წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ათასი ლარი	2023 წელი	2022 წელი
სარეკლამო ხარჯები	6,260	3,981
ხელფასები და დაკავშირებული ხარჯები	2,711	1,550
ტრანსპორტირების ხარჯი	276	253
ცვთის ხარჯი	214	231
იჯარის ხარჯი	70	23
სასაწყობო მომსახურების ხარჯი	1,059	417
	10,590	6,455

17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლისა და 2022 წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ათასი ლარი	2023 წელი	2022 წელი
ხელფასები და დაკავშირებული ხარჯები	3,940	3,261
უიმედო ვალის ხარჯი	4,077	1,005
მივლინების ხარჯი	225	99
საბანკო ხარჯი	176	182
პროფესიონალური მომსახურების ხარჯი	162	129
ცვეთა და ამორტიზაცია	127	120
იჯარის ხარჯი	104	5
საკანცელარიო ხარჯი	46	51
დაზღვევის ხარჯი	42	29
საკომუნიკაციო ხარჯი	30	53
კომუნალური ხარჯი	24	25
დაცვის ხარჯი	9	8
სხვა	342	288
	9,304	5,255

18 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები 2023 წლისა და 2022 წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი გრძელვადიანი ინვესტიციებიდან	574	596
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	217	404
	791	1,000
ფინანსური ხარჯები		
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ხელშეკრულებიდან	34	59
საპროცენტო ხარჯი მიღებული სესხებიდან	794	1,772
	828	1,831

19 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგებაში განმარტებით შენიშვნას.

20 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასების პროცესში და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე. ამასთან, გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავლის მოვლენები და მოლოდინები, რაც სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

20.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებებს და დაშვებებს, რომლებსაც აქვს მნიშვნელოვანი რისკი სამომავლოდ გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების მნიშვნელოვანი კორექტირება, განხილულია ქვემოთ.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე სანდო მტკიცებულებების გათვალისწინებით. აღნიშნული მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიამ ან სხვა ბაზრის ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი გაყიდვის ფასები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს მოთხოვნებისთვის და გადახდილი ავანსებისთვის, რათა აღრიცხოს სავარაუდო ზარალი, რაც გამოწვეულია კლიენტების უუნარობით, განახორციელონ საჭირო გადახდები. როდესაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას მენეჯმენტი აფასებს მის მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნამთების ხანდაზმულობას, ისტორიულ ჩამოწერის გამოცდილებას, კლიენტების კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკაში, ინდუსტრიაში ან კლიენტის სპეციფიკურ პირობებში განხორციელებულმა ცვლილებებმა შეიძლება მოითხოვოს ფინანსური ანგარიშგებაში ჩაწერილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირება. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის შეადგენდა, შესაბამისად 8,627 და 4,550 ათასი ლარს. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გადახდილი ავანსებისთვის, შეადგენდა შესაბამისად, 104 ათასი და 104 ათასი ლარს.

20.2 სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები

შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მომავალ მოვლენებზე მოლოდინების ჩათვლით, რაც სარწმუნოა, რომ გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით.

საიჯარო ხელშეკრულების ვადის განსაზღვრა

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმალურად გაფორმებულია ერთი საანგარიშგებო პერიოდისთვის (12 თვე), თუმცა, ყველა მათგანში არის იჯარის ვადის გაგრძელების ოფცია, რაც გულისხმობს, რომ იჯარის ვადა გრძელდება მომავალი ერთი წლის პერიოდით, თუკი ხელშეკრულების არცერთი მხარე წერილობით არ გამოთქვამს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე. წარსულში კომპანია ყოველთვის აგრძელებდა ასეთ ხელშეკრულებებს და გამჭირავებელს არასდროს გამოუთქვამს იჯარის ხელშეკრულებების შეწყვეტის სურვილი. ამ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის კომპანიის ხელმძღვანელობა კვლავ გეგმავს ხელშეკრულებების გაგრძელებას მინიმუმ მომავალი 5 წლის მანძილზე და ჩვენი ინფორმირებული მოლოდინია, რომ გამჭირავებლებიც თანახმა იქნებიან იჯარის ვადების ასეთ გაგრძელებაზე. ასეთი განსჯის შესაბამისად, ჩვენ

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

ასეთი საიჯარო ხელშეკრულებები დავარეკლასიფიცირეთ როგორც გრძელვადიანი იჯარები ფასს 16-ის მიხედვით.

20.3 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

როგორც შენიშვნა 1-შია აღწერილი, 2022 წლის დასაწყისში რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა არასამართლიანმა ომმა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა გამოიწვია ათასობით რუსისა და უკრაინელის საქართველოში გადმოსახლება. ეს მოიცავდა არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, არამედ ბიზნესებსაც, რომლებიც დაარსებული იყო და ფუნქციონირებდა ამ ქვეყნებში. აღნიშნულის შედეგად გაიზარდა უცხოური ვალუტის შემოდინება ქართულ ბაზარზე, რამაც გამოიწვია ქართული ლარის მნიშვნელოვანი გამყარება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

რუსეთის არასამართლიანმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ზოგადად რეგიონში ბიზნეს გარემოზე და ასევე კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

2023 წლის განმავლობაში, მიმდინარე ომს კომპანიის შემოსავალზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. 2023 წელს მთლიანი შემოსავალი დაახლოებით 13%-ით გაიზარდა, წინა წელთან შედარებით (2022: 48%).

კომპანიის მენეჯმენტი აკონტროლებს ეკონომიკური მდგომარეობის მიმდინარე ცვლილებებს და იღებს ზომებს, რომლებსაც საჭიროდ თვლის კომპანიის სტაბილურობისა და განვითარების შესანარჩუნებლად უახლოეს მომავალში და თვლის, რომ ომის საერთო ეფექტი არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ოპერაციებზე; შესაბამისად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო.

21 ფინანსური ინსტრუმენტები

21.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7.

21.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საიჯარო ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის საქმიანობის დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
გრძელვადიანი ინვესტიციები	9,217	9,262
გაცემული სესხები	-	887
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27,725	23,129
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	14,572	13,162
	51,514	46,440
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	345	411
მიღებული სესხები	18,217	19,812
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,870	1,706
	20,432	21,929

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

22 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროს სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი ხორციელდება ქართულ ლარში. ვალუტის კურსების შემოქმედება წარმოიქმნება კომპანიის მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული შესყიდვების ოპერაციებით, რომლებიც ძირითადად დენომინირებულია დოლარსა და ევროში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკუროს რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
გრძელვადიანი ინვესტიციები	9,217	-	9,262	-
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	3,022	-	249	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	150	10	257
	12,249	150	9,521	257
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	2	17	33
	15	2	17	33
წმინდა პოზიცია	12,234	148	9,504	224

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15% (2022: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნაშთებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2022: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი დოლართან და ევროსთან მიმართებაში 15%-ით რომ გამყარებულიყო, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მოახდენდა შემდეგ გავლენას:

ათასი ლარი	აშშ დოლარი	ევრო
მოგება/ზარალი	1,835	22

ქართული ლარი დოლართან და ევროსთან მიმართებაში 15%-ით რომ გამყარებულიყო, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მოახდენდა შემდეგ გავლენას:

ათასი ლარი	აშშ დოლარი	ევრო
მოგება/ზარალი	1,426	34

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

სავალუტო კურსების სხვაობების ცვლილებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია, რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოდგენს სავალუტო რისკის პოზიციას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან ის სესხულობს სახსრებს ფიქსირებული განაკვეთებით. ამ რისკს კომპანია მართავს შესაბამისი ფიქსირებული განაკვეთის სესხების შენარჩუნებით.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, მათ შორის, ნაღდი ფულის, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ჩათვლით.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის მიზნებისთვის, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკის მართვა საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულთან მიმართებაში ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

კომპანია მუდმივად აკონტროლებს კლიენტების საკრედიტო ხარისხს. სადაც შესაძლებელია, მოიპოვებს და იყენებს საკრედიტო რეიტინგებს და/ან ანგარიშებს გარე წყაროსგან კლიენტის შესახებ. კომპანიის პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ საქმე აწარმოოს მხოლოდ კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან. მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზის რეგულარული მიმოხილვით, თითოეულ კლიენტზე საკრედიტო ლიმიტებთან ერთად.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება დებიტორების დიდი რაოდენობისგან სხვადასხვა ინდუსტრიასა და გეოგრაფიულ არეალში. კომპანია არ ფლობს რაიმე სახის გარანტიას სავაჭრო დებიტორულ ბალანსზე.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას, ვინაიდან ეს მუხლი არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას დებიტორული დავალიანება შეფასდა როგორც კოლექტიური ასევე ინდივიდუალური მიდგომით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 7-ში.

ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა ვალდებულების დაფარვას მათი გადახდის ვადის ბოლოს.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივად ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილი იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების დაფარვა.

ცხრილი შეიცავს ფულადი ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტი	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		12.47%	10.8%	
1 თვეზე ნაკლები	291	192	13	496
1 თვიდან 3 თვემდე	134	373	25	532

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

3 თვიდან 1 წლამდე	1,445	19,608	69	21,122
1 წლიდან 5 წლამდე	-	-	340	340
	1,870	20,173	447	22,490

ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტი	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		11.11%	10.8%	
1 თვეზე ნაკლები	201	226	29	456
1 თვიდან 3 თვემდე	67	17,275	59	17,401
3 თვიდან 1 წლამდე	1,438	3,026	264	4,728
1 წლიდან 5 წლამდე	-	-	88	88
	1,706	20,527	440	22,673

23 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც შეფასებულია საწყისი აღიარების შემდეგ რეალური ღირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია 1-დან 3-მდე დონეებად. ეს დონეები აღწერილია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივის ან ვალდებულების; და
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

24 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებს ადექვატური უკუგება აჩვენოს.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს, რათა შეინარჩუნოს ეფექტური დაფინანსების სტრუქტურა და თავიდან აიცილოს ზედმეტი ბერკეტები. ეს ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალდებების სუბორდინაციის დონეს. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გამოისყიდოს არსებული სესხები ვალის შესამცირებლად.

კომპანია ახორციელებს კაპიტალის მონიტორინგს „წმინდა ვალისა“ და „კორექტირებულ კაპიტალთან“ თანაფარდობის გამოყენებით.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სესხები	18,217	19,812
მინუს :ფული და მათი ეკვივალენტები	(14,572)	(13,162)
წმინდა სესხები	3,645	6,650
კაპიტალი	53,036	42,112
წმინდა სესხის კოეფიციენტი კაპიტალთან მიმართებაში	6.87%	15.79%

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

25 გაუთვალისწინებელი გარემოებები

25.1 გადასახადები

მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

25.2 სამართლებრივი პროცესები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ წარმოიქმნება არანაირი არსებითი დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს არ შეუქმნია არანაირი რეზერვი.

26 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ დამფუძნებლები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ გარიგებები, რომლებიც დაუკავშირებელმა მხარეებმა ვერ შეძლონ და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებით, როგორც გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

26.1 საკონტროლო ურთიერთობები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს მანდალორ ლიმიტედ, HE406857, კიპროსი	57%	57%
შპს ალფორდიო სევისეზ , HE356249, კიპროსი	18%	18%
შპს არევაკო ინვესტმენტ ლიმიტედ, HE356394, კიპროსი	12%	12%
სიმონ ესართია, 01025003319	5%	5%
ლევან ლანდია, 01005000874	5%	5%
დავით ალავიძე, 01023009775	3%	3%
	100%	100%

26.2 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება, რომელიც წარმოდგენილია მოკლევადიან სარგებლებთან ერთად, 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის იყო შესაბამისად 2,737 ათასი ლარი და 2,394 ათასი ლარი.

26.3 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 და 2022 წლების განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები:

ათასი ლარი	2023 წელი	2022 წელი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია		
შემოსავალი	38,157	33,050
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	89
სადისტრიბუციო ხარჯები	350	7,651
ფინანსური ხარჯი	272	343
ფინანსური შემოსავალი	195	393
სხვა შემოსავლები	-	60
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან	19	102
	38,993	41,688

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ათას ქართულ ლარებში)

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
სესხები	4,435	2,836
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,237	9,082
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	291	46
	7,963	11,964

მმართველობის ანგარიშგება

ორგანიზაციის ბიზნეს მიმოხილვა

1. ორგანიზაციის ბიზნესის განვითარება, შესრულება და მდგომარეობა

შპს გ. დ. ალკო ("კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2004 წლის 8 დეკემბერს. კომპანიის მიზანია მიზანია განახორციელოს ალკოჰოლური სასმელების დისტრიბუცია საქართველოში. იგი არის ალკოჰოლური სასმელების ერთ-ერთი უმსხვილესი დისტრიბუტორი კომპანია ქართულ ბაზარზე.

კომპანია ქირობს საწყობებს სხვადასხვა რეგიონში, სუპერმარკეტების, სასურსათო მაღაზიების, ასევე დიდი ჰიპერმარკეტებისა და საბითუმო მაღაზიების მოსამარაგებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

კომპანიას აქვს 19 წლიანი გამოცდილება და წარმოადგენს წამყვან კომპანიას პრემიუმ კლასის ალკოჰოლური სასმელების ბიზნესში საქართველოში. 2023 წელს კომპანიის შემოსავლების შეადგენს 100,163 ათასი ლარს. მთლიანი მოგების მარჟა 2023 წელს შეადგინს 38%. 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 265 ადამიანს.

კომპანიის მიმდინარე პერიოდის სტრატეგიები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ბაზრის ლიდერობა:

GD ALCO კვლავაც იქნება წამყვანი სადისტრიბუციო კომპანია საქართველოში მომხმარებელთა და თანამშრომლების სრულყოფილებაზე ფოკუსირებით.

- დამატებული სერვისები: ჩვენ მივაწოდებთ მაღალი ხარისხის, სერვისებს ჩვენს მომწოდებლებსა და სავაჭრო პარტნიორებს.
- კატეგორიის გაფართოება: ჩვენ ვმუშაობთ ჩვენი პორტფელის გაფართოებით და გაზრდით ახალი შესაძლებლობების გამოვლენით.
- მარკეტინგის გაუმჯობესება ჩვენი პორტფელი გაძლიერდება უმაღლესი მარკეტინგული და სავაჭრო-მარკეტინგის სერვისებით.
- თანამშრომლების განვითარება: ჩვენ განვახორციელებთ ინვესტირებას ჩვენს თანამშრომლებში მათი პროფესიული ზრდისა და განვითარებისთვის საჭირო რესურსების მიწოდებით. ჩვენ მიზნად ისახავს მოვიზიდოთ ახალი ნიჭები სხვადასხვა წარმომავლობიდან და შევქმნათ სამუშაო გარემო, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალურ დისციპლინას და გუნდურ მუშაობას.
- ადგილობრივი სავაჭრო პარტნიორობა: ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ ადგილობრივი სავაჭრო პარტნიორების განვითარებას.

2. ორგანიზაციის სამომავლო განვითარების გეგმები

2024/2025 წლებში კომპანია გეგმავს რამდენიმე პროექტის განხორციელებას, რომელებიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ბრენდისა და პროდუქტის ინოვაცია: გამოვუშვათ ახალი ბრენდები და ინოვაციური პროდუქტები და გააფართოეთ SKU ასორტიმენტი არსებული პორტფოლიოს ფარგლებში.
- პორტფელის დივერსიფიკაცია: გაავართოვოთ ჩვენი შეთავაზებები ახალი პრემიუმ ალკოჰოლის კატეგორიებში შესვლით და ალკოჰოლის ნიშან სეგმენტებში ჩვენი ყოფნის გაძლიერებით
- დაბალი და ალკოჰოლის გარეშე ვარიანტები: გამოვიკვლიოთ დაბალი და უალკოჰოლო კატეგორიები, რათა მომხმარებლებს შევთავაზოთ მოქნილი არჩევანი მათი პრეფერენციების მიხედვით.
- საერთაშორისო ღვინის პორტფოლიო: გაავართოვოთ ჩვენი საერთაშორისო ღვინის პორტფელი, რაც უზრუნველყოფს წარმომადგენლობას ყველა ძირითადი ღვინის მწარმოებელი ქვეყნიდან და რეგიონიდან სხვადასხვა ფასების წერტილებში.

შპს გ.დ. ალკო

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

- მზა სასმელი (RTD) კოქტეილები: შევქმნათ და გავზარდოთ მზა სასმელის (RTD) კოქტეილების კატეგორია.
- საგანმანათლებლო პროგრამები: განვახორციელოთ მომხმარებელთა საგანმანათლებლო პროგრამები, რათა ხელი შევუწყოთ პროდუქტის უფრო მეტ ცოდნას და ბრენდის ლოიალობას.
- სავაჭრო პარტნიორის განვითარება: გავაძლიეროთ პარტნიორობა On და Off Trade პარტნიორებთან, ხელი შევუწყოთ ორმხრივ ზრდას.

სადისტრიბუციო არხის ოპტიმიზაცია: მაქსიმალურად გავზარდოთ ყველა სადისტრიბუციო არხის პოტენციალი, სტრატეგიული აქცენტით თანამედროვე ვაჭრობაზე, შიდა ვაჭრობაზე და ელექტრონულ კომერციაზე, რათა უზრუნველყოთ მომხმარებელთა ფართო წვდომა

3. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

ჩვენმა გუნდმა ჩაატარა რამდენიმე ადგილობრივი კვლევითი პროექტი პრემიუმ ალკოჰოლური სასმელების კატეგორიაზე. გარდა ამისა, კომპანია მონაწილეობს IWSR-ის მიერ ჩატარებულ ალკოჰოლური სასმელების გლობალურ კვლევაში.

4. ინფორმაცია ორგანიზაციის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს იურიდიული ფილიალები.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები:

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	ათას ლარი	2023	2022	2021	2020
1	შემოსავალი	100,163	89,811	60,501	33,211
2	მთლიანი მოგება	37,966	33,917	17,217	7,780
3	მოგება საშემოსავლო გადასახადამდე	17,402	19,586	8,055	2,823
4	მთლიანი მოგების მარჟა	38%	38%	28%	23%

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

		2023	2022	2021	2020
1	პროდუქცია პორტფელის რაოდენობა	210	205	213	158
2	პერსონალის რაოდენობა	265(Including 100 females)	186 (Including 67 females)	151 (Including 54 females)	142 (Including 54 females)
3	აქტიური მომხმარებლების რაოდენობა	Up to 2700	Up to 2100	Up to 1150	Up to 850

6. ინფორმაცია საკუთარი წილის შეძენის შესახებ

2023 წელს კომპანიის მიერ არ განხორციელებულა საკუთარი წილების შეძენა.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

2023 წელს კომპანია აგრძელებს ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენებას ადგილობრივ ბანკთან, რამაც გამოიწვია ძირითადი მომწოდებლების წინაშე უცხოური ვალუტის ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო რისკების უკეთ მართვა.

8. ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მექანიზმების გადახედვა მათი მართვისათვის

კომპანიის გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება საკრედიტო პირობებით. საკრედიტო ვადები კლიენტებთან 7-დან 60 დღემდეა. არსებობს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ზოგიერთი ნაშთი, რომლებიც დარეზერვებულია კომპანიის მოთხოვნების შესაბამისად, ვადაგადაცილებული მოთხოვნების დარეზერვების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან საკრედიტო ვადები მერყეობს 0-დან 60 დღემდე, მაგრამ ზოგადად მომწოდებლებისათვის გადახდა ხდება წინასწარ. პრემიუმ ალკოჰოლური სასმელების კატეგორია შედარებით ნელა მოძრავია. გარდა ამისა, კომპანია მუდმივად ინარჩუნებს სხვადასხვა ნიშების პროდუქტს თავის პორტფელში, რათა დააკმაყოფილოს მომწოდებლებისა და მომხმარებლების საჭიროებები, ძირითადად HoReCa სექტორში. ამის გამო, კომპანიას წლების განმავლობაში დაუგროვდა გადაჭარბებული მარაგი რამდენიმე პროდუქტზე. კომპანია მუდმივად ახდენს ასეთი ნელად მოძრავი პროდუქტების გამოვლენას და იწყებს სხვადასხვა სავაჭრო კამპანიას მათი ამოყიდვისა, და მთლიანობაში, ლიკვიდურობის მართვის მიზნით.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის გათვალისწინებით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკისა და გაურკვევლობის ახსნა	მენეჯმენტის პასუხი
1	სავალუტო რისკი - საქონლის შესყიდვების ძირითადი ნაწილი ხდება უცხოურ ვალუტაში, თუმცა გაყიდვები ხდება ადგილობრივ ვალუტაში. არსებობს პოტენციური ზარალის რისკი ადგილობრივი ვალუტის ცვეთის გამო. ამ ფაქტის გამო, ასევე პრობლემას წარმოადგენს ფასის კორექტირება.	2023 სს წლის მეორე ნახევარში კომპანიამ მოახერხა თანხის დაგროვება დოლარში, რათა თავიდან აეცილებინა ვალუტის რყევების უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.
2	პოლიტიკური რისკები - არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტზე მოთხოვნაზე, შემოსავლებზე და მომგებიანობაზე.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთოს პოტენციური განვითარების სწორი პროგნოზი და განახორციელოს საჭირო და ადეკვატური ცვლილებები.
3	რეგულაციების რისკი - ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, აქციზი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მუდმივად მოდის სიგნალები მომავალი რეგულაციების შესახებ ალკოჰოლური სასმელების დისტრიბუციასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.	მდგრადი Omni-channel ბიზნეს მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდას და შეესაბამება რეგულაციების ცვლილებებს.

8. ორგანიზაციის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მექანიზმების გადახედვა მათი მართვისათვის

კომპანიის გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება საკრედიტო პირობებით. საკრედიტო ვადები კლიენტებთან 7-დან 60 დღემდეა. არსებობს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ზოგიერთი ნაშთი, რომლებიც დარეზერვებულია კომპანიის მოთხოვნების შესაბამისად, ვადაგადაცილებული მოთხოვნების დარეზერვების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან საკრედიტო ვადები მერყეობს 0-დან 60 დღემდე, მაგრამ ზოგადად მომწოდებლებისათვის გადახდა ხდება წინასწარ. პრემიუმ ალკოჰოლური სასმელების კატეგორია შედარებით ნელა მოძრავია. გარდა ამისა, კომპანია მუდმივად ინარჩუნებს სხვადასხვა ნიშების პროდუქტს თავის პორტფელში, რათა დააკმაყოფილოს მომწოდებლებისა და მომხმარებლების საჭიროებები, ძირითადად HoReCa სექტორში. ამის გამო, კომპანიას წლების განმავლობაში დაუგროვდა გადაჭარბებული მარაგი რამდენიმე პროდუქტზე. კომპანია მუდმივად ახდენს ასეთი ნელად მოძრავი პროდუქტების გამოვლენას და იწყებს სხვადასხვა სავაჭრო კამპანიას მათი ამოყიდვისა, და მთლიანობაში, ლიკვიდურობის მართვის მიზნით.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვის გათვალისწინებით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდეგს:

რისკისა და გაურკვევლობის ახსნა	მენეჯმენტის პასუხი
1 სავალუტო რისკი - საქონლის შესყიდვების ძირითადი ნაწილი ხდება უცხოურ ვალუტაში, თუმცა გაყიდვები ხდება ადგილობრივ ვალუტაში. არსებობს პოტენციური ზარალის რისკი ადგილობრივი ვალუტის ცვეთის გამო. ამ ფაქტის გამო, ასევე პრობლემას წარმოადგენს ფასის კორექტირება.	2023 სს წლის მეორე ნახევარში კომპანიამ მოახერხა თანხის დაგროვება დოლარში, რათა თავიდან აეცილებინა ვალუტის რყევების უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.
2 პოლიტიკური რისკები - არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტზე მოთხოვნაზე, შემოსავლებზე და მომგებიანობაზე.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთოს პოტენციური განვითარების სწორი პროგნოზი და განახორციელოს საჭირო და ადეკვატური ცვლილებები.
3 რეგულაციების რისკი - ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, აქციზი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მუდმივად მოდის სიგნალები მომავალი რეგულაციების შესახებ ალკოჰოლური სასმელების დისტრიბუციასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.	მდგრადი Omni-channel ბიზნეს მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდას და შეესაბამება რეგულაციების ცვლილებებს.

მპს გ.დ. ალკო

24 სექტემბერი 2024

დავით ალავიძე

დირექტორი

დავით ალავიძე

გიორგი დევიძე

ფინანსური დირექტორი

გიორგი დევიძე